მეევენახე სპორტსმენი

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტი ე. გალდავა, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობს მასზე გაპიროვნებულ უბანს.

ე. გალდავა აპარატის მუშაკთა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანია, მაგრამ სპორტისთვისაც მუდამ პოულობს დროს. იგი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული ფეხბურთით და ბავშვთა გუნდებში თამაშობდა, ახლა კი გეგეჭკორის „სალხინოში", რომელიც საქართველოს პირველობაში მონაწილეობს, მცველად თამაშობს.

ბ. ჯაყელი.

სურათებზე: მარცხნივ — ე. გალდავა ვარჯიშის დროს; მარჯვნივ — ე. გალდავა მეურნეობის მოწინავე მუშა ო. ახაბაშვილთან ერთად ვენახში.

ავტორის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№ 205 (4199)

1970 წ. 18 ოქტომბერი. კვირა. ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის „დინამო" — უმაღლეს ლიგაში

გუშინ რედაქციამ ერევნიდან, სადაც რიგებში მეორე ლიგის გუნდების საკავშირო ფინალური ტურნირი მიმდინარეობდა, სასიხარულო ცნობა მიიღო — თბილისის „დინამომ" დასკვნით ტურში მოსკოვის ოლქის „ხიმკის" წინააღმდეგ აღმავლობით ითამაშა — დაამარცხა მეტოქე (16:3), საბოლოოდ 8 ქულა მოაგროვა და დაეპატრონა იმ ერთადერთ საგზურს, რომელიც გაასად სსრ კავშირის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

საქართველოს ჩემპიონები — თბილისის დინამოელები — ზომავალ სეზონში მოსკოველი თანაკლუბელების ადგილს დაიკავებენ „ა" კლასში.

ერევანში ვილნიუსის გუნდმაც 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ ლიტველები საქართველოს სპორტსმენებთან დამარცხდნენ და ამიტომ II ადგილს დასჯერდნენ.

რეკორდები

დმიტროვი, 16 ოქტომბერი. ადგილობრივ ავტოდრომზე გაიმართა სსრ კავშირის უძლიერესი ავტომობილისტების შეჯიბრება რეკორდების დასამყარებლად. „ზილ-112-ს" კლასის სარბოლი მანქანით წარმატებას მიაღწია მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორმა ნ. რაზინჩევმა, რომელმაც 500 მეტრზე ადგილიდან შეჯიბრებაში საათში 112,64 კმ სისწრაფე განავითარა და ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი (104,9 კმ) 1968 წლიდან ვ. ზოგოტოვს ეკუთვნოდა.

ქალებმა დავა დაამთავრეს

ეკატერინოდარი, 17 ოქტომბერი (ტელეფონით). „დინამოს" სტადიონზე დაიწყო მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის" პრიზის გათამაშების „ბ" ფინალური ტურნირი. გუშინ სარბიელი ქალებს დაეთმოთ, ხვალ და ზეგ კი გამარჯვებისთვის ვაჟთა კოლექტივები იბრძოლებენ.

ქალთა შეჯიბრებაში ლენინგრადის IV, გორკის, თბილისის, ბრიანსკის, ხარკოვის, ჩელიაბინსკის, ტომსკისა და ტაშკენტის ოლქის გუნდები მონაწილეობდნენ.

თბილისელთაგან კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები ლ. ტუღუში, ლ. იევლევა და პირველთანრიგოსანი ლ. გუკი, რომლებმაც გუნდს ყველაზე მეტი ქულები შესძინეს.

დინამოელმა ტუღუშმა ორ სახეობაში იასპარეზა, ორივეში III ადგილები მოიპოვა და გუნდის ყულაბაში 12 ქულა შეიტანა. მან ბადრო 51 მეტრზე ტყორცნა, ბირთვი კი 14,30 მეტრზე მკრა. იევლევამ („სპარტაკი") იმარჯვა 100 მეტრზე თარჯრბენში — 14,4 (8 ქულა), გუკმა („ბურევესტნიკი") კი 168 სმ სიმაღლე დაძლია, წელს მეორედ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა დ. საბაურმა შუბის მტყორცნელთა ასპარეზობაში მხოლოდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან ხარკოველ ნ. მარაკინასთან (52,86 მ) წააგო. თბილისელის შედეგია 48,86 მ.

სიგრძეზე ხტომა ჩელიაბინსკელმა ნ. პლოტნიკოვამ მოიგო — 602 სმ. თბილისელი ც. ჩოლიაშვილი („სპარტაკი") კი 581 სმ-ზე გადახტა და III ადგილი დაისაკუთრა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ბრიანსკის გუნდმა, რომელმაც 77 ქულა მოაგროვა. თბილისის კოლექტივი 62 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა.

ᲛᲐᲓᲠᲐᲙᲘ

გელიავსკი — ერთპიროვნული ლიდერი

სოხუმი, 16 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ქართველმა ოსტატმა ე. უბილავამ ორივე პარტია წააგო ლ. ფოგტთან (გდრ) და ო. რომანიშინთან. ტ. ხორვატი (უნგრეთი) და ა. პანჩენკო ყაიმზე შეთანხმდნენ.

VIII ტურში შეჯიბრების საბჭოთა მონაწილენი უცხოელებს შეხვდნენ. ა. გელიავსკიმ ხორვატთან შეხვედრის დებიუტშივე მიიღო უპირატესობა და გამარჯვება კიდეც. ამ მოგებით იგი ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. რომანიშინისა და უ. ანდერსონის (შვეცია) შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ხ. მაკარიჩევმა შავებით დებიუტშივე გაათანაბრა პარტია და უკვე მე-19 სვლაზე ფოგტის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

უბილავამ ლამაზად დაამარცხა ბულგარეთის ჩემპიონი დ. პროდანოვი. ა. პეტროსიან—ი. ბარლეს (იუგოსლავია) პარტიაში უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენის მხარესაა. პანჩენკომ მოუგო ვ. პერესიპკინს.

8 ტურის შემდეგ გელიავსკის 6 ქულა აქვს. მაკარიჩევს, რომანიშინსა და ანდერსონს — 5,5, ოღონდ, შვედ საერთაშორისო ოსტატს 7 შესაძლებლიდან. უბილავამ 4 ქულა დააგროვა და V-VII ადგილებს იყოფს ფოგტთან და ბარლესთან ერთად.

ოსტატთა უპირატესობით

სოხუმი, 16 ოქტომბერი. აქ დაიწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 7 დიდოსტატი და ამდენივე ახალგაზრდა ოსტატი მონაწილეობს. შეჯიბრება შევეინგენის სისტემით (ორ წრედ) ეწყობა. ოსტატები მხოლოდ დიდოსტატებს შეხვდებიან და ერთმანეთს ორის არ ითამაშებენ, ისევე როგორც დიდოსტატები. დიდოსტატთა ჯგუფში არიან: ვ. კორჩნოი, მ. ტალი, ლ. შტეინი, ა. სუეტინი, ვ. ლიბერზონი, ა. ლუტიკოვი და ლ. შამკოვიჩი. ოსტატთა ჯგუფში თამაშობენ: ვ. ტუკმაკოვი და მ. პოდგაეცი, გ. კუზმინი, ვ. კუპრეიჩიკი, ბ. გულკო, გ. ცეშკოვსკი და რ. ვაგანიანი.

I ტურში ოსტატები თეთრებით თამაშობდნენ. გულკომ წააგო კორჩნოისთან, შამკოვიჩმა—კუზმინთან. კუპრეიჩიკ-შტეინის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ვაგანიან-ლუტიკოვისა და ცეშკოვსკი-ლიბერზონის შეხვედრები გადაიდო ოსტატების უპირატესობით.

ჩემპიონები — სტუდენტები

სოხუმის „სპარტაკის" დარბაზში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში. მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის, თბილისის განათლების განყოფილების, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სოხუმის გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდნენ სპი-ს და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები. გაიმარჯვეს სპი-ს ფრენბურთელებმა და პირველობაც მათ მოიპოვეს. III ადგილზე არიან განათლების განყოფილების სპორტსმენები.

ვაჟთა გუნდებიდან ჩემპიონობა არავის დაუთმო თბილისის სახელოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებმა. II და III ადგილები დაისაკუთრეს სპი-სა და განათლების განყოფილების კოლექტივებმა.

ბ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

სურათებზე: საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები ფრენბურთში. მარცხნივ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა ნაკრები; მარჯვნივ — თბილისის სახელოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი.

ავტორის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიტყვა მეტიქეებზე

ვალერი პოპენჩენკო,
ოლიმპიური ჩემპიონი
კრივში

მთელი ჩემი კარიერის წინაღობაზე რინგზე 221 შეხვედრა ჩატარებული. აქედან 208 ორთაბრძოლა მოვიგე. მე შეხვედრიან ტყვიის ხელთათმანის ბევრ ცნობილ ოსტატს, რომლებიც არც ძალით ჩამომავარდებოდნენ, არც ეიეკაცობით, არც მოქნილობით. მათ შორის არიან ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები — ო. ვალასიკი (პოლონეთი), ი. მინია (რუმინეთი), დ. ოკაოვლეფაი (იუგოსლავია), ე. შული (ბულგარეთი), ვ. ფატიუნა (ინგლისი), გ. შატკოი, ა. კისელიოვი, ე. ფეოფანოვი, ბ. ნოსოვენკო (ყველა — სსრ კავშირი).

ამგარმა ბინდა მოვარნებები დავიწყო ორი პირველი ბრძოლის აღწერით, რომლებიც ვარსაფრის ჩაიმღებიან ჩემი მასპინძლობიდან.

ერთი ამ შეხვედრათაგანი ჩემს ფერხის ამხანაგთან ლ. ზაბრალოვთან ჩავატარე. მე მას 1952 წელს შევხვდი ქალაქ ტამბოვის ფიზიკოდთა პირველობის ფინალში, რანაზე გასულამდე ეჭასხოლში ერთმანეთს მოვეკაბარაკენ, რომ სინამდვილეში არ ვიბრძოლეს და ამაოდ თავად გადაწყვეტდნენ ჩვენ ბედს საკითხს. ორი რაუნდი თითქმის ისე გავატარეთ რინგზე, რომ ერთმანეთისთვის არ დაგვიტეხია. მეამბე. რაუნდის წინ ჩვენ ერთმანეთს ეფერებოდნენ. ეს იყო ჩემი პირველი ბეჯითი ბრძოლა, სადაც ამ ბიჭმა ბევრი ეფერა. ბოლოს და ბოლოს ეს ბრძოლა ფეოდოსიოს ფეოფანოვის დამპალსტეპი ბრძოლა ეფერა. ეს ბრძოლა ეფერა. ეს ბრძოლა ეფერა. ეს

ფუფუნ...

თბილისის „ლოკომოტივი ს“ სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო ხარკოვის „მეტალისტი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

სსრ კავშირის პირველობა

4:0

ტყიბულში ადგილობრივმა „მეშახტემ“ მორიგი ტურის შეხვედრა გამართა ბელაია კალიტვას „ორბიტასთან“. მატჩი მიმდინარეობდა კოკისპირულ წვიმაში და ამან ერთობ გააძნელა თამაში. მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს მეტოქეთა კარში 4 „მშრალი“ ბურთის გატანა. ვ. ლოპატინმა და რ. სარაძემ „ორბიტის“ კარი 2-2-ჯერ აიღეს (ლოპატინმა — მე-7 და 78-ე წუთებზე, სარაძემ — 58-ე და 87-ე წუთებზე).

სტუმრების გუნდის წევრი მაციგინი ერთთავად უხეშობდა. ამისთვის იგი მსაჯმა მკაცრად გააფრთხილა, მაგრამ მაციგინი მაინც არ დამშვიდდა. 50-ე წუთზე მსაჯი იძულებული გახდა მოედნიდან გაეძევებინა თავაშვებული ფეხბურთელი.

ზ. ჯორჯაძე.

(ჩვენი კორ.).

II ზონის I ქვეჯგუფი

0:2

ცხინვალში „სპარტაკმა“ მიიღო კამენსკ-შახტინსკის „პროგრესი“. წვიმაში და ატალახებულ მინდორზე „პროგრესმა“ უკეთ შეძლო თამაში და წარმატებასაც მიაღწია. ამ ძნელ ვითარებაში სტუმრების თავდამსხმელმა ჯალადოვმა ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი (მე-10 და 83-ე წუთებზე).

მართალია, „სპარტაკის“ მოთამაშეებს ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მათი მეცადინეობა ამაო გამოდგა. საბოლოოდ წაგება — 0:2.

ვ. მელქოევი.

4:1

ფოთის „კოლხეთი“ ტამბოვის „სპარტაკს“ მასპინძლობდა. ანგარიში გახსნა სტუმართა გუნდის წევრმა კრივალუცკიმ (მე-14 წუთი), მაგრამ ეს იყო და ეს. მერე ფოთის „კოლხეთმა“ იგდო ხელთ თამაშის სადავეები. 25-ე წუთზე ალმასიამ შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1. ტაიმის დასასრულს ტიშჩენკომ კარგად ჩააწოდა ალმასიას და ამ უკანასკნელმა დააწინაურა გუნდი —2:1.

შესვენების შემდეგ ჯ. პანაიოვმა 2 უპასუხო გოლი გაიტანა „პროგრესის“ კარში — 4:1. ასე დამთავრდა მატჩი.

ბ. ბასილაია.

(ჩვენი კორ.).



◆ კიევი, 17 ოქტომბერი. დამთავრდა საპარაშუტო სპორტში სსრ კავშირის პირველობა და სპორტის ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. ქალებში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მოსკოველი ი. ტკაჩენკო, ვაჟებში — კუიბიშეველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ოსიპოვი.

1000 მეტრიდან ზუსტად დაშვებაში ოქროს მედალი მოიპოვა კაუნასელმა ა. გორშკოვამ. ვაჟებში ყველას ვ. შარაბანოვმა (გორკი) აჯობა.

უამინდობის გამო 2000 მეტრიდან აკრობატული ფიგურების შესრულებით ხტომაში გამარჯვებულნი მხოლოდ ორი ნახტომის მაჩვენებლებით გამოავლინეს. ქალებში პირველობა მსოფლიო რეკორდსმენს მ. კოსტინას (ჩებოკსარი) მიეკუთვნა, ხოლო ვაჟებში ოქროს მედალი მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. იაჩემენოვმა (ლენინგრადი) მოიგო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კავშირისა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მოსკოვის კოლექტივი. II ადგილზე არიან უკრაინის პარაშუტისტები, III — ბელორუსიის სპორტსმენები.

ᲛᲘᲡᲢᲘᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ

მესტიის რაიონის ჩემპიონებს სამთოსათხილამურო სპორტში პირდაპირ „ბრძოლის ველზე“ — მთებში აჯილდოებდნენ. სურათზე, რომელსაც ამ წერილთან ერთად ვბეჭდავთ, აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან) მეორე პრიზიორი გ. ჯაფარიძე, ჩემპიონი ბ. კახიანი, ე. გუჯეჯიანი. გიამბობთ ორ მათგანზე.

ბ. კახიანმა თამამად, თავისუფლად გაიარა მთელი რთული ტრასა. არც გასაკვირია, 1964 წელს მან ხომ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ჭაბუკთა შორის.

გ. ჯაფარიძეს თითქმის ნახევარი მსოფლიო აქვს შემოვლილი. იგი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელია და ახლა ესტაფეტას საიმედო ხელს გადასცემს. მისი 11 წლის ბიჭები თემური და თამაზი უკვე რესპუბლიკის ჩემპიონები არიან მოსწავლეთა შორის სამთოსათხილამურო სპორტში.

დიახ, ამ რაიონში დიდ პატივს სცემენ სათხილამურო სპორტს, მაგრამ მთამსვლელობას რა დაავიწყებთ. ჩვენს რესპუბლიკაში 11 სპორტის დამსახურებული ოსტატია და მათგან ექვსი მესტიიდანაა. ამას გარდა, მესტიაში კიდევ 8 სპორტის ოსტატია ამ სახეობაში.

...ბანგურიანის მწვერვალის (3846 მ) დასალაშქრად 80-ზე მეტი მესტიელი ჭაბუკი და ქალიშვილი მიდიოდა. ასეთი მასობრივი ასვლა მესტიაში 1958 წლიდან აღარ მოუწყვიათ.

გულსატკენი იყო, რომ ამ ასვლის მონაწილეთაგან ბევრს სპეციალური მთამსვლელური კი არა, უბრალო ყელიანი ფეხსაცმელიც არ ეცვა. რატომ არის ასე ძნელი მთამსვლელთა ინვენტარის შოვნა?

• • •

ახლა კი მთებიდან დაუბრუნდეთ სოფელ ლენჯერის კოლმეურნეობას ვეწვიოთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯობე გულედანი სიტყვა-ძუნწი კაცი გამოდგა: „ჩვენთან 420 კაცი მუშაობს. შარშან შემოსავალმა დაახლოებით 7 ათასი მანეთამდე მიაღწია. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი არა გვყავს“.

ასეთივე პასუხი იყო მოსალოდნელი დანარჩენი 16 კოლმეურნეობის თავმჯდომარეებისგან. სოფლის სპორტსმენებს მეთოდისტები არა ჰყავთ. ამიტომ არის, რომ 360-დან სულ 30 მძლეოსანმა აიღო სტარტი რაისაბჭოს პირველობაში.

სათხილამურო სპორტში 50 კაცი ცდიდა ძალას. წლეულს მეტი ასპარეზობა არ ჩატარებულა.

რასაკვირველია, „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ხერგიანი დიდ გასაჭირშია. თუმცა, ის მაინც არ იყო ძნელი, რომ კოლმეურნეობებიდან ანგარიშები და თანრიგოსნების მომზადების ცნობები მიეღოთ. ვფიქრობთ, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო ერთ მოტოციკლს გამოუყოფს ხერგიანს. მაშინ აღარც სოფლებში სიარული იქნება ძნელი, აღარც აქტივის მომზადება და, თუ გნებავთ, საასპარეზოდ გუნდების შეკრება.

მ. ხერგიანს კიდევ ერთი საკითხი აწუხებს. შარშან მის საზოგადოებაში სამთომოთხილამურეთა 6 ჯგუფი გაიხსნა. თითქოს უნდა გახარებოდა, მაგრამ რა გაახარებდა, როცა 90 კაცზე სულ 16 წყვილი თხილამური ჰქონდათ?

ხერგიანს დიდი ხნის მუშაობის გამოცდილება არა აქვს. მან სულ ორი წელია ამ საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ დღემდე არავის მოსვლია აზრად ახალგაზრდა თავმჯდომარის მუშაობა შეემოწმებინა, დახმარებოდა, საჭირო რჩევა-დარიგება მიეცა.

რა გვეთქმის, მესტია შორი, ძნელად მისადგომი რაიონია, მაგრამ ეს არ გვამართლებს. დროა ამ რაიონსაც საკმარი დახმარება გავუწიოთ. დიდი ხანია საჭიროა აქ აგოს ზამთრის სპორტული დარბაზი. ეგ კი არა, აგერ უკვე 4 წელია „ისვენებს“ პლასტმასის 40-მეტრიანი ტრამპლინი. სტადიონზე სარბენი ბილიკები არ არის მოწყობილი, არა აქვთ სპორტული მაღაზია.

ინტერნატის აღსაზრდელებმა სპორტდარბაზი მიიღეს, მაგრამ სპორტულ ინვენტარს დღემდე ვერ ეღირსნენ.

მესტიის რაიონში 53 ფიზკულტურის კოლექტივი და 5075 ფიზკულტურელია, შარშანდელი „მოსავალი“ კი ეს არის — 12 პირველთანრიგოსანი, 975 მეორე და მესამე თანრიგების სპორტსმენი.

წლეულს მესტიელებს უფრო დიდი წარმატების იმედი აქვთ—სურთ საქართველოს სპარტაკიადისთვის კარგად მოემზადონ. ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელები უფრო მეტად დაეხმარებიან სპორტსმენებს.

ვ. ბუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲓᲣᲔᲢᲘ

ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲐ, 17 ოქტომბერი. აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში დიდი ინტერესი გამოიწვია პეტროსიან — ლარსენის (დანია) და ტაიმანოვ — ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრებმა, რომლებიც ყაიმით დამთავრდა. ამავე, მეთერთმეტე, ტურში გლიგორიჩმა (იუგოსლავია) თანამემამულე ლედიჩი დაამარცხა, ხოლო ბრონშტეინი ბერტოკს (იგოსლავია) ყაიმზე შეუთანხმდა. ტაიმანოვისა და ოზანიჩის (იუგოსლავია) გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა, რითაც ლენინგრადელი დიდოსტატი ლიდერს — გლიგორიჩს დაეწია — 8-8 ქულა. ლარსენი მათ 0,5 ქულით ჩამორჩება. ჰორტს 7 ქულა აქვს. პეტროსიანს, მინიჩსა (იუგოსლავია) და საბოს (უნგრეთი) — 6,5 თვითეულს. ბრონშტეინს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ზუგდიდი

დამთავრდა ზუგდიდის ენგურჰესალდაყმბინატის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა და ფეხბურთი. ყველას აჯობა გოფრირებული ყუთების შემკეთებელი საამქროს ნაკრებმა, რომელმაც პირველობა დაისაკუთრა ფრენბურთში, ფეხბურთსა და ტყვიის სროლაში. საერთო II ადგილზე გავიდნენ ელექტროგანყოფილების სპორტსმენები, III — ფართო მოხმარების საქონლის საამქროს ნაკრები (ყველას აჯობეს მძლეოსნობაში). კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვეს მუყაოს საამქროს გუნდებმა.

• • •

გაიმართა შიდასაკოლექტივო პირველობა ფეხბურთში ენგურჰესალდაყმბინატის კომკავშირის კომიტეტის პრიზზე. ტურნირი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობდა 9 გუნდი. თასი მუყაოს საამქროს გუნდმა მოიგო.

კ. ფიფია.

ᲙᲐᲡᲞᲘ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს, აგრეთვე, სკკპ XXIV ყრილობას ეძღვნება კასპის რაიონის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდების სპარტაკიადა.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში.

სპარტაკიადას ლიდერობენ „განთიადის“ სპორტსმენები, II ადგილზე არიან „კოლმეურნის“ წარმომადგენლები, III—„სპარტაკის“ კოლექტივი.

ლ. ელისაბედაშვილი.

ᲡᲐᲓ ᲕᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲗ?

ძვირფასო რედაქცია! დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ წერილით მოგმართოთ. იქნებ გვირჩიოთ: როგორ სჯობს, ერთად დავსხდეთ და თვალი ვადევნოთ ჟურნალ-გაზეთებს, ვიკითხოთ, რა წარმატებას აღწევს სხვა სოფლების ახალგაზრდობა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და მხოლოდ ამით დავიმშვიდოთ გული, თუ ჩვენც ჩვენი წვლილი შევიტანოთ სპორტის განვითარებისა და მისი შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში?

ეს აზრი შემთხვევით არ მოგვსვლია. მჭადიჯვარში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქალაღდი გაფუჭდა სხვადასხვა შეჯიბრების ოქმების წერაში, ფაქტიურად არავითარი სპორტული ღონისძიება არ ტარდება. მეტსაც გეტყვით, ერთი პატარა ადგილიც არ არის, მოჭიდავეებს რომ შეეძლოთ ვარჯიში. მოუწესრიგებელია ფეხბურთის მინდორიც.

ბევრჯერ მივმართეთ თხოვნით უფროსებს, ხელმძღვანელებს, საჩივრის წერილიც ბევრი დავწერეთ, მაგრამ ამაოდ. ჩვენი გულისტკივილი არავის ესმის. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?

მჭადიჯვრის ახალგაზრდობა.



ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲣᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ?

ძვირფასო რედაქცია! ცხინვალის სამბისტები გულისტკივილს გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ვარჯიშისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია. რამდენიმე ხნის წინ ჩვენს ქალაქში საჭიდაო დარბაზი აშენდა, მაგრამ აქ მხოლოდ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ემზადებიან.

სამბისტებს გვქონდა ერთადერთი სექცია სპორტსაზოგადოება „განთიადთან“, მაგრამ იგი ერთი ხელის მოსმით გაქრა. ნუთუ ასე ძნელია ჩვენს დაოსტატებას ორგანიზებული სახე მიეცეს, ვიყოთ სექციაში, გვყავდეს მწვრთნელი და დარბაზში გარკვეული დრო გვქონდეს?

ცხინვალელი სამბისტები.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“
ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა

18 ოქტომბერი
„დინამო“ (თბილისი) —
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
დუბლმემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს.

19 ოქტომბერი
„დინამო“ (თბილისი) —
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04458